საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 5 იანვარი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა დირექტორების პრემირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სამსახურეობრივი უფლებამოსილებების სანიმუშო შესრულებისათვის, მუშაობის შედეგებში შეტანილი თითოეული მოსამსახურის პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით მიეცეთ პრემია 550 ლარის ოდენობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა შემდეგ დირექტორებს:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დასუფთავების სამსახური“-ს დირექტორს – ვლადიმერ სალუქვაძეს;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორს – აკაკი ჭანუყვაძეს;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს დირექტორს – მაკა ჭყონიას;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტის განვითარების ცენტრი“-ს დირექტორს – ბიძინა გობრონიძეს;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სასპორტო სკოლის“-ს დირექტორს – გოჩა კვირჩილაძეს;

მუხლი 2. ამ ბრძანების 1-ელ მუხლში მითითებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დირექტორებს დაევალოს, პრემიის გაცემა მოახდინონ ბიუჯეტის საპრემიო მუხლიდან მისთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer

Created by free version of DocuFreezer